



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030413487720017

04-630/ო

07 / სექტემბერი / 2017 წ.

С ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, С ჰეპატიტით დაავადებულ პირთა С ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის მიმწოდებლებისთვის გადაცემული С ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების ყოველთვიური ხარჯვისა და ბრუნვის ამსახველი ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული „С ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ დანართი N1 „სერვისის მიწოდების პირობების“ პუნქტი 2.8-ის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს С ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, С ჰეპატიტით დაავადებულ პირთა С ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის მიმწოდებლებისთვის გადაცემული С ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების ყოველთვიური ხარჯვისა და ბრუნვის ამსახველი ფორმა (დანართი N1).
2. პროგრამის მიმწოდებლებმა С ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების ყოველთვიური ხარჯვისა და ბრუნვის წარმოდგენა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით, არაუგვიანეს საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა.
3. დაევალოს სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს (კ. ჩხარტიშვილი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი მიმწოდებლებისათვის.
4. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), საჯარო გაცნობის მიზნით, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან და გავრცელდეს 2017 წლის სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე